



საქართველო
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა N 44 16

19/12/2018

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით
გათვალისწინებულ თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N37 დადგენილების შესაბამისად:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესი დანართი N1-ის მიხედვით.

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N44 8 განკარგულება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებულ თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

მუხლი 4.

განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის
18 დეკემბრის N43/7576 (შემ. N294/44; 18.12.18) მომართვა.

ვახტანგ ღამბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე